**განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო**

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

15/04/2025

MES 6 25 0000414096

სსიპ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მიმდინარე წლის 10 აპრილს შემოვიდა ინფორმაცია UNESCO - იაპონიის ჯილდოს - UNESCO-Japan Prize on Education for Sustainable Development (ESD) შესახებ.

UNESCO-Japan Prize on Education for Sustainable Development (ESD) არის საერთაშორისო პრემია, რომელიც ყოველწლიურად ენიჭება საუკეთესო კანდიდატებს იმ ინიციატივებისა და პროექტებისთვის, რომლებიც ხელს უწყობს განათლების მდგრადი განვითარების (ESD) დანერგვას. აღნიშნული პრიზი დაფინანსებულია იაპონიის მთავრობის მიერ და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას განათლების გზით.

ჯილდო ენიჭება კერძო პირებსა და ორგანიზაციებს "განათლება მდგრადი განვითარებისთვის" (ESD) კუთხით განხორციელებული განსაკუთრებული პროექტებისთვის. ნომინაციის პროცესი წარიმართება ონლაინ პლათფორმის მეშვეობით, სადაც იუნესკოში საქართველოს დელეგაცია წარადგენს კანდიდატის მიერ შევსებულ სააპლიკაციო ფორმას.

ფულადი პრიზი ყოველ წელს გადაეცემა სამ გამარჯვებულს, თითოეულს 50,000 აშშ დოლარის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილოთ თანდართული ფაილი და ასევე, აღნიშნული პრიზის ვებგვერდი:https://www.unesco.org/en/prizes/education-sustainable-development

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდება შესაძლო დაინტერესებული პირებისთვის და სურვილის შემთხვევაში, მიმდინარე წლის 7 მაისამდე წარმოგვიდგინოთ შევსებული საპლიკაციო ფორმა (იხ. მიბმული ფაილი) იუნესკოში საქართველოს დელეგაციის ინფორმირების მიზნით.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზ
რდობის სამინისტრო / უმაღლესი განათლების განვით
არების დეპარტამენტის უფროსის
ფუნქციათა შემსრულებელი
შუხოშვილი მაია